ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3602461

ნომერი: AR1545919

თარიღი : 02.10.2017

გაცემის თარიღი : 16.10.2017

გაცნობის თარიღი : 23.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უჩა ზაქაშვილი პ/ნ 01002016160
- თბილისი გლდანის ხევი კორ. 5 ბ. 58

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1545919 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას და დოკუმენტაციას ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მ/რ-ში, #01.14.02.025.062 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 13 აპრილის #AR1495531 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა

მოქალაქე შალვა გელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მ/რ-ში, ##01.14.02.025.063 და 01.14.02.025.062 საკადასტრო ერთეულებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება. საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 20 აპრილის #16 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე გაიცა დადებითი რეკომენდაცია. 2017 წლის 04 ივლისს საკითი გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2017 წლის 29 სექტემბრის #354 განკარგულებით ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის მე-3 მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ #01.14.02.025.063; #01.14.02.025.062) დადებითი გადაწყვეტილება მიეცა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებას. (#3602608 10.10.17წ. წერილი) გიგზავნით #3602608(AR1495531) წერილის, #3214675 საბჭოს გადაწყვეტილების, 2017 წლის 29 სექტემბრის #354 განკარგულების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 10 ლარის და 65 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 213 ფურცელი

1.მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2.მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3.ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6.გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1545919 02.10.2017წ.)